7390/4-2/21 2 14072021

7390/4-2/21
14-07-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

ა) 2015-2021 წლებში სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რამდენი სარჩელი მიიღეს საერთო სასამართლოებმა?

ბ) რამდენი სარჩელი დაკმაყოფილდა ინსტანციების და წლების მიხედვით?

გ) რამდენ საქმეზე იქნა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება?

გთხოვთ, აღნიშნული მონაცემები მოგვაწოდოთ ყოველი წლისთვის ცალ-ცალკე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი

ქ. თბილისი № 480/1818-01-3 „21" 07 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2021 წლის 14 ივლისის N7390/4-2/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2015-2021 წლებში სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით საერთო სასამართლოებმა სულ მიიღეს 101 სარჩელი. კერძოდ, 2015 წელს - 28 სარჩელი, 2016 წელს - 17 სარჩელი, 2017 წელს - 15 სარჩელი, 2018 წელს - 11 სარჩელი, 2019 წელს - 15 სარჩელი, 2020 წელს - 11 სარჩელი და 2021 წელს - 4 სარჩელი.

ზემოაღნიშნულ სარჩელთა განხილვის შედეგად, პირველ ინსტანციაში დაკმაყოფილდა: 2015 წელს - 4 სარჩელი, 2016 წელს - 3 სარჩელი, 2017 წელს - 1 სარჩელი, 2018 წელს - 2 სარჩელი, 2019 წელს - 4 სარჩელი და 2020 წელს - 2 სარჩელი. მეორე ინსტანციაში კი დაკმაყოფილდა: 2017 წელს - 1 სააპელაციო საჩივარი, 2018 წელს - 1 სააპელაციო საჩივარი და 1 კერძო საჩივარი, 2019 წელს - 2 სააპელაციო საჩივარი და 2020 წელს 1 სააპელაციო საჩივარი. მესამე ინსტანციაში 2017 წელს ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 1 საკასაციო საჩივარი, ხოლო 2019 წელს დაკმაყოფილდა - 1 კერძო საჩივარი.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის უზრუნველყოფა დავის კატეგორიების მიხედვით სასამართლო სტატისტიკაში არ აღირიცხება, მოკლებული ვართ აღნიშნული მონაცემების მოწოდების შესაძლებლობას.

პატივისცემით,

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-10340/21
„23" 07 2021 წ. ფურცელი 1

0144, თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, ტელ./ფაქსი: 227 31 00, www.hcoj.gov.ge
12, Bochorma st., 0144 Tbilisi, Georgia. Tel./Fax: +99532 227 31 00, council@hcoj.gov.ge